საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია'' - მეოთხე კომპონენტის (სოფლის მეურნეობის სფეროს პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საგანმანათლებლო რესურსების ჩამოყალიბება) ფარგლებში პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის **შერჩევის მიზნით.**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 04 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 09 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელი"**, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **– 1**;

კონკურსის შედეგად პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში2467 ლარის ოდენობით.

პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობის მიმართ დადგინილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;
2. პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
3. მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
4. საგანმანათლებლო რესურსებზე/სახელმძღვანელოებზე/გზამკვლევებზე მუშაობის გამოცდილება.

პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;

ბ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

გ) საგანმანათლებლო რესურსების შექმნის პროცესის კოორდინაცია, შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;

დ) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;
ე) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;
ვ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.